ბრძანება:**ბ47.47220821**

თარიღი:**23/03/2022**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №2 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.მიმდინარე წლის 30 მარტს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

1.2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი ახობაძე

1.3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ბუკისციხეში მდებარე N28.13.22.095 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობაში არსებული N13, N14, N15, N16 და N17 არასაცხოვრებელი ფართის (113.90 კვ.მ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ერკეთში მდებარე 28.12.22.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული N1 შენობაში არსებული 20.63 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (N1-2 – 10.30 კვ.მ.; N1-3 - 10.33 კვ.მ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.5. დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. N24-ში მდებარე 27629.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (რაგბის მოედანი) (ს/კ - 28.01.22.268) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის

მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.6. დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. N45-ში მდებარე N28.01.22.116 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის მეორე სართულზე არსებული 30.00 კვ.მ. ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ბუკისციხეში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 701.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.13.22.039) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ზომლეთში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N28.07.22.511 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობაში, თანდართული პირველი და მეორე სართულის გეგმის მიხედვით, არსებული 246.13 კვ.მ. ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.9. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ბუკისციხეში მდებარე N28.13.22.095 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობაში არსებული N3, N4, N5, N6 და N11 არასაცხოვრებელი ფართის (154.40 კვ.მ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.10. ინფორმაცია მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2021 და 2022 წლის განვლილ პერიოდში გამოვლენილი დარღვევების და პრევენციისათვის გატარებული ღონისძიებების შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი ახობაძე

1.11. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.12. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.13.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი კუჭავა

1.14. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი